ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/2641-17

"31" 05 2017 წ.

დადგენილება №002504
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

31.05.2017წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 5 მაისის №002504 მითითება და 2017 წლის 29 მაისის №002504 შემოწმების აქტი, შედგენილი შედგენილი ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №205303189, თავმჯდომარე გიული ხაზალია (პირადი №62006003487), მის: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №23, საკ. კოდი №01.14.07.002.006) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №23, საკ. კოდი №01.14.07.002.006-ში ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2811692 AR1426198 01.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „ა-კ" ფასადზე: დ-ე მონაკვეთში გაუქმებულია ორი საფეხური. ბ-გ მონაკვეთში +3.10 ნიშნულზე გაზრდილია კედლის სიგრძე. ზ-თ მონაკვეთში +4.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. +34.17 ნიშნულზე დ-ე მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. „კ-ა" ფასადზე: ±0.00 ნიშნულზე დ-ბ მონაკვეთში აივნის ფილის ქვემოთ მოწყობილია რიგელები. +23.40 ნიშნულიდან +33.30 ნიშნულამდე შეცვლილია კედლის ფორმა. +33.30 ნიშნულზე გაუქმებულია ფანჯარა. „1-11" ფასადზე: 4-7 მონაკვეთში გაზრდილია მოპირკეთება. 9-9 ღერძთან ±0.00 მოწყობილია საკომუნიკაციო ხვრელი. 7-8 მონაკვეთში +27.80 ნიშნულზე შეცვლილია შახტის ფორმა. „11-1" ფასადზე: +3.40 ნიშნულიდან ზემოთ არ არის მოწყობილი მინაბლოკები და მსუბუქი კონსტრუქციის ფარი. 7-6 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი კარი. გეგმების მიხედვით: -5.80 ნიშნულზე დ-ა მონაკვეთში 11-11 ღერძის გარეთ კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. -3.00 ნიშნულზე 9-11 მონაკვეთში თ-თ ღერძზე გაზრდილია კარის სიმაღლე. დ-ა მონაკვეთში 11-11 ღერძის გარეთ კედლები შესალესი და შესაღებია. კ-კ ღერძის გარეთ 1-9 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები. დ-ბ მონაკვეთში გაზრდილია ღიობის სიგანე. 7-11 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სანიაღვრე არხები. ±0.00 ნიშნულზე ე-ე ღერძთან 6-6 ღერძზე კარი არ არის შემინული. 1-1 ღერძთან დამატებით მოწყობილია კედელი. ზ-კ მონაკვეთში გაზრდილია კიბის სიგანე. გ-ე მონაკვეთში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აშენებულია პანდუსი და მოწყობილია ასფალტის საფარი. -ზ მონაკვეთში შემცირებულია კიბის სიგანე. გ-გ ღერძთან 3-1 მონაკვეთში მოწყობილია კედელი. +3.60 ნიშნულზე 8-8 ღერძზე ბ-დ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. +23.40 ნიშნულზე ბ-ა მონაკვეთში კედლის ნაწილი შესაღებია. +30.00 ნიშნულზე დ-ბ 11-10 მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე. +33.300 ნიშნულზე 7-6 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი. 7-11 ზ-ე მოანკვეთში კაპიტალურ მოაჯირს მონაცვლებული აქვს ადგილი ე-ე ღერძისკენ, რითაც შემცირებულია სახაფხულო ფართი დაახლოებით 20მ². 6-7 მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. 6-7 გ-ე მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის სამანქანოს ფილის ნიშნული. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები. ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლიია კოლონების რაოდენობა. ნაწილობრივ დასასრულებელია სამღებრო სამუშაოები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, არ არის მოწყობილია პროექტში ნაჩვენები გამწვანება. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დონე. ასადებზე და გეგმებზე არ არის დატანილი რენდერში ნაჩვენები კედლები

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 5 მაისს შედგენილ იქნა მითითება №002504, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცი დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2017 წლის 29 მაისს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002504, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ის თავმჯდომარის გიული ხაზალიას №19/01171392524-17 19.05.2017წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №23, საკ. კოდი №01.14.07.002.006-ში ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2811692 AR1426198 01.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "წყნეთის გზატკეცილი 23"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საგადახდო დავალება N11

რეფერენსი

5501956955

გადამხდელის დასახელება: ნახალია გიული

ანგარიში (დებეტი) GE56BG4501981288090000
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ი.ბ.ა "წყნეთის გზატკეცილი 23 "

საიდენტ. კოდი 205303189

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი N 002504 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია: 62006003487

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____

მთ. ბუღალტერი _____

ბ.ა.

თანხა

4000-00

თანხა სიტყვებით

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 01.06.2017

მიღების თარიღი: 01.06.2017

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com